


სახალხო კაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 393. კვირა, 4 სექტემბერი 1911 წ. დამატების № 69



ქვათახევის ღვთის-მშობლის მონასტრის ჩუქურთმები.
მონასტერი აშენებულია XII—XIII საუკუნეში.

თბილისი

(შემდეგი *)

**

დამე მიწურული იყო, როცა ჯვებზე ფეხაკრეფით შევიდა ტყეში და ბეკოს ხისაკენ გაემართა. აქეთ-იქით იხედებოდა, ყურს უგდებდა ყოველ ჩამი-ჩუმს. ერთი ხანია, რაც შემჩნეული აქვს, რომ ბეკო მას თვალ-ყურს აღევნებს.

— კიდევ! ჰა! კიდევ!—ჩაილაპარაკა ჯვებზე და მოუთმენლად დაუწყა ლურსმანს ძრობა. ჯვებზე ჩქარობდა და არ ზოგავდა ძალას. ისე გულმოდგინედ მუშაობდა, თითქო ლურსმანი მას ჰქონოდა გულში ჩასობილი.

გამოაძრო თუ არა, ჩაღვა თავის კოლოფში და სწრაფად გამოსწია ტყიდან. ვერ მოასწრო გამოსვლა, რომ უცბად ბეკოს ხმა მოესმა.

— ის ძალა, რომელმაც მოგიყვანა შენ აქ, დაწყევლილო, გაგაქვავებს მანდ! შეჩერდი, გიბრძანებ!

ტყვია ნაკრავივით მთელის ტანით ერთი გაიწია წინ ჯვებზე და შეჩერდა.

— ჰაჰ! არ დაიძრა!—ბეკო მიუახლოვდებო.

— მიცნობს!—სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა ჯვებზე. შიშმა დაუარა, მოიკრიბა ღონე და სძლია ფეხების ჭურჩობა, ერთი ნაბიჯი გადადგა, გადადგა მეორეც და ბოლოს კიდევაც გაიქცა.

— სანამდის! სანამდის დამემალეები!.. სჩანს არ არის კიდევ ნება უფლისა!—აკანკალებულის ხმით მიაძახა ბეკომ.

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 68.



მხატვარი კოტე ქავთარაძე.

მისი სურათების გამოფენის გამო „ახალ კლუბში“.

მაგრამ ჯვებე ქარივით მიჰქროდა. მოშორდა იმარეს და თავი შეაფარა ხეივანს. იქ მუხლი მოეკვეთა და ერთს ხის ძირში დაება.

— უკანასკნელად! — სთქვა ჯვებემ ბეჯითად და გულზე მიკრულ კოლოფს მაგრად მოუქირა ხელები.

— ვითომ უკანასკნელად?

უბიდან გამოიღო ძონძებში გახვეული კვესი და აბედი, კვესი გაჰკრა კაეს. ბლომად დასცვივდა ნაპერწყალი.

— ცეცხლი! — გიჟური აღტაცებით სთქვა მან ნაპერწყლების დანახვაზე.

გაშალა შემდეგ აბედი. დაზილა ხელის გულზე, დაარბილა. მოგლიჯა პატარა, დაადვა კაესზე და გაჰკრა კვესი. აბედი უცბათ აენტო.

— ცეცხლი! — წამოიყვირა მან. ანთებულს აბედს შეუბერა.

— ჰო, უკანასკნელად! უკანასკნელად!

ქვის დარტყმით ჩაქრო აბედი, სწარაფად, შეჰკრა კვესი და კაეი ძონძში და ათრთოლებული გამოვიდა ტყიდან.

განთიადი ფრთასა ჰშლიდა. უკანასკნელი ვარსკვლავიც მიჰქრა.

ჯვებე წისქვილისკენ წამოვიდა.

წისქვილის წინ იჯდა ბეკო თავ ჩაღუნული, თვალები ჩაწითლებული და რალასაც ჩურჩულებდა. მას მთელი დამე არ ეძინა.

— რამ აგაყენა ასე ადრე, საცოდავო?

— ხის ტოტზე ვიჯექ! — ჩვეულებრივად უპასუხა ჯვებემ და წისქვილის ერთს კუთხეს მიაშტერდა. კუთხის ფიცრები შეხეთქილი იყო, მატლებით დაღრღნილი. ჯვებეს თავში გაუელვა:

— „რა ჩქარა და ადვილად მოედება ცეცხლი?!“

— იცი, საცოდავო ჯვებე, რომ მაცხოვარმა და წმ. გიორგიმ უკვე შეისმინეს ჩემი ვედრება!

— შეისმინეს! — მაგრამ ჯვებე ყურს არ უკდებდა ბეკოს. კანკალებდა, თითქოს ციებას აუტანიო და ძლივს გასაგონად იმეორებდა: — უკანასკნელად! უკანასკნელად!

— მოდი, ჩემო ჯვებე, მოდი, გამოგილოცავ! ამ თხოვნასაც შემისრულებს უფალი!

— უკანასკნელად! უკანასკნელად!

— ნეტავ უკანასკნელად გქირდებოდეს გამოლოცვა, საბრალო ჩემო ჯვებე! მოდი მაშ, მუხლი მოიყარე. ჯვებე სძლევს თავს და მუხლებზე დაეცემა ბეკოს წინ. თავს ჩაჰკიდებს და განუწყვეტლივ ჩურჩულებს:

— უკანასკნელად! უკანასკნელად!

— ცათა მეუფეო! — ლოცულობს ბეკო. — გადმოჰხედდე ამ უბედურს და ყველასაგან განწარულს! აპატიე უნებლიე შეცოდებანი და დაუბურნე ცხოვრებას იგი, ვით ისააკი აბრამს! განაშორე მას ბოროტი სული! იხსენი და შეიწყალე!

— უკანასკნელად... — ბუტბუტებს ჯვებე, და ანთებულის თვალებით შეჰყურებს წისქვილის კუთხეს.

ბეკო ულოცავს. ბოლოს წამოაყენებს. მოაბრუნებს მარჯვნივ სამჯერ.

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სული-სათა... ამინ! — და ბეჯითის კილოთი ეტყვის:

— თავისუფალი ხარ!

ჯვებე მოშორდება, განზე გადგება, ხოლო მისი მთელი ყურადღება წისქვილის დაზიანებულს კუთხეს აქვს მიპყრობილი.

— ახლა კი, უხილავო, მიუვალთა ცათა შინა მსუფე-ვო, გვედრები მაკმარო მოლოდინი და აღმისრულო სამართლიანი თხოვნა ჩემი. — მომგვარე იგი ჩემი სადღურის კარებს და ჩემს თვალ წინ აღმოხადე ბოროტი სული!

— ბეკო! ბეკო! — შეჰბღავლებს ჯვებე.

ბეკო გადმოჰხედავს მას. ჯვებეს საშინელმა, ანთებულმა თვალებმა პირველად იმოქმედა ბეკოზე. ბეკოს შეეშინდა. უკან დაიწია და წუნარის ხმით ჰკითხა:

— რა იყო, ჯვებე?

მაგრამ ჯვებე მის წინ აღარ იყო. ის გარბოდა ყვირილით: — უკანასკნელად! უკანასკნელად!


— სწორედ მკდის უფალი ამ გლახის სახით! — ჩილია-პარაკა ბეკომ და ჩაფიქრებული შევიდა წისქვილში.

**


საღამო ჟამია. ბინდ-ბუნდი ეხვევა მიდამოს. წისქვილში ზის ბეკო და უცდის დამეს. აღელვებულია. იცის, რომ თუ ამალამაც დაუდარაჯა, ნახავს ლანდს. ის ბეკოს აშინებს. ხშირად იწერს პირჯვარს და კარებისკენ იმზირება, ლანდზე ფიქრობს.

საშინელი რამაა ეს ლანდი! იმას რა უნდა, რომ ბეკომ ყოველ დამე ტყეში იაროს! მერე აუცილებლად მას შემდეგ შევა ტყეში, როცა ბეკო წყევას მორჩება და ლურსმანს შეარტობს ლიფნის ხეში.

— ალბად ასე ჰსურს ცათა მეუფეს! — ჯერ უნდა აწვალოს!



პრემიერ-მინისტრი პ. ა. სტოლიპინი.



მთიანეთის დვორნის-მთხეთის (მაღალანთ) ეკლესიის ნანგრევები, აშენებულია (XII—XIII საუკუნეში) ს. წინარეხის მახლობლად.

ასეთს ფიქრშია ბეკო, წისქვილში მოულოდნელად შე-
მოიჭრება აღელვებული ჯვებე და მივარდება ბეკოს.

— ჰა, ბეკო! წაიღე! გამომართვი!

— ეს რა არის?

— შენ გქონდეს, ბეკო! მე არ მინდა! ნუ მომცემ!—
და გადასცა ძონძებში გახვეული კვესი და კაეი.

— კარგი, შეილო, შეგინახავ!

— ჰო, შემინახე!.. შენ გქონდეს სულ!

— როგორ ხარ, ჯვებე? ხომ არა გტკივა რა?

— კი... შენი ჭირიმე, ბატონო, ჩემო ბეკო! კი!

— ოა გტკივა, მითხარი მე!

— სული მტკივა! სული!

— ნუ გეშინია, საწყალობელო ჯვებე! ამა-
დამ ჩემთან დარჩი!—ეფერება ბეკო. გულში კი
ფიქრობს:

„ალბათ ზნე მოუვლის საცოდავს! ჰკრძნობს
მოახლოვებას!“

— ახლა არა! მერე მოვალ!.. 'შენთან დავ-
წვები!—

— კარგი! როგორც გინდა! ოღონდ არ
დარჩე სხვაგან კი!

ჯვებე გადის წისქვილიდან. ბეკო პირჯვარს
გაღიწერს.

— ღმერთო, დამიფარე, შემიწყალე მე ცოდ-
ვილი!

დამდება. ბეკო კიდე გაღიწერს პირჯვარს.
გამოვა წისქვილიდან და ისიც არის უნდა გაემარ-
თოს ტყისკენ, რომ მას ჯვებე დაეწვია.

— ბეკო!

— მოდი, მოდი! შედი წისქვილში, ჩემო ჯვებე!

— შენ?

— მე მალე მოვალ! ახლავე დავბრუნდები!

— ბეკო!!

— რა იყო, ჩემო ჯვებე?

ერთს ხანს უყურებს ჯვებე ბეკოს, რომელსაც მოუთ-
მენლობა ეტყობა და პირი ტყისკენ უჭირავს.

— მომეც! მომეც, ბეკო, ჩემი ჭინჭი— აგზნებული
გადაჭრით მიჰმართავს ჯვებე ბეკოს.

— კარგი... მოდი... ახლავე მოვცემ.

შებრუნდებიან წისქვილში. ბეკო გამოიღებს უჯრიდან.
ჯვებეს მობარებულს კვესსა და აბედს.

ჯვებეს უჭირს გამორთმევა. რამდენჯერმე უკან წაი-
ღებს ხელებს, მაგრამ ბოლოს გამოართმევს და სწრაფად
დამალავს უბეში.

ბეკო კი გადის წისქვილიდან და ჩქარის ნაბიჯით ტყის-
კენ გაემართება.

ჯვებე დარჩება წისქვილში. იგი ქშინავს, გულს ძლივს
იმაგრებს საგულეში.

— უკანასკნელად!—აჰბობს ჯვებე და თითებს იკბენს.

— უკანასკნელად!—გამოვარდება გარედ, გაჰხედავს ბე-
კოს. მაგრამ თვალს ვერ მოჰკრავს,—ბეკო უკვე ტყეშია.

— უკანასკნელად!—ბეჯითად გაიმორებს ჯვებე, ერთს
შეჰკივლებს და მივარდება ფიცრებ გამოტეხილს კუთხეში.
ხელების ცახცახით ამოიღებს უბიდან ჭანქს, გახსნის, მთლიანს
აბედს დააღებს კაეზე და გაჰკრავს კვესს. აბედი აენთება.
ჯვებე თვალებს დახუჭავს.

— ცეცხლი!—ცეცხლი!—ცეცხლის ალი თითქო შიგ
ტენში გაუელვებს მას.

ანთებულს აბედს კუთხეში შესდებს და შეუბერავს.
სული ეხუთება, მაგრამ მაინც უბერავს.

— უკანასკნელად!

აბედს ერთიანად მოედება ცეცხლი. ალი ავარდება.
მოედება გამხმარს ფიცრებს. მაშინ ჯვებე მოშორდება წის-
ქვილს. ქანაობით მივა წისქვილის წინ მდებარე მინდორზე.

— ცეცხლი! ცეცხლი!—მას თავსბრუ ესხმის. სისხლი
თავში მოაწვება, თავში აუვარდება. ცეცხლი ელვასაებ თვა-
ლის წინ გაუელვებს. ჯვებე დატრიალდება, მოწყდება მიწას
და დაეცემა.



ღღობა ქვათახევში 15 მარამობისთვის 1911 წ.

ცეცხლი მოეკიდა წისქვილს. მალე ალაღ მოედვა იგი
მთელს კედლეს და სახურავს მიაღწია. გაღვებული ცეცხლი-
დან ნაპერწკლები ცვიოდა, ცა გააწთლა.

ბეკომ ტყიდან თვალი მოჰკრა ცეცხლს. წამსვე აჩქარე-

ბული წამოვიდა რაც უფრო უახლოვდებოდა წისქვილს, იმდენი უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი მარჩენელი წისქვილი იწვის.

შეჰკვივლა ერთი, დაიწვილა. ფეხი ვერ გადადგა. თითქო გაქვავდა. ენაც ჩაუვარდა.

— ჩემი... ჩემი... წისქვილი!—ძლივს წაილულულა მან და წამოვიდა წისქვილისკენ.

მიუახლოვდა თუ არა, ჯვებე გაახსენდა.

— ჯვებე! ჯვებე დაიწვა! ვაუ! ჩემო ჯვებე!—მივარდა ცეცხლ-მოკიდებულს წისქვილს გარშემოუაროს.

— ჯვებე! ჯვებე! ჩემო ჯვებე! ჯვებე! საბრალო ჯვებე!—გაჰკიოდა ბეკო. დაავიწყდა ყოველი, ის დარბოდა გიჟივით და ჯვებეს უძახოდა. დარწმუნებული იყო, რომ ჯვებე დაიწვა, მაგრამ მალე მოესმა ჯვებეს ქშინვა მინდორზე. გაექანა მისკენ. რა იხილა ჯვებე, დაეცა მასზე. დასინჯა და, რა დარწმუნდა, რომ ცეცხლი არ ეკიდა ერთი ამოიხენეშა:

— მადლობა ღმერთს! კიდე სულ არ გაუწირავს უფალს!

— ჰე! ეგერ! ჰე.. მირბის!—წამოიწია თავი და წაილულულა ჯვებემ.

— ვინ? თვალი მოჰკარ? დამწვა?... დამღუბა? სად, სად არის?—ხმა ჩახლენილი ყვიროდა ბეკო.

მაგრამ ჯვებე უგრძობლად ეგდო და ზნე მოკიდებულ მომაკვდავივით კვრანჩხავდა ფეხებსა და ხელებს:

— მაშ, დამწვეს?... სწორედ ეს იმ ლანდმა მომიკიდა ცეცხლი, რომელიც ეს ათი დღეა გადამკიდებია!

ჰაჰ... წმ. გიორგი წმ. და ძლიერო!

.... წისქვილის შველა არ შეიძლებოდა ცდაც უნაყოფო იყო. ისლის სახურავი და გამხმარი ფიცარი ცეცხლს ვერ გაუმკლავდება!!

**

დამწვარ წისქვილის წინ შეყრილა ხალხი. კაცი, ქალი, დიდი, პატარა დიდიდანვე ეშხადება ხატზე გადაცემასზე დასასწრებლად. დღეს უკანასკნელი დღეა დამნაშავეს მიერ დანაშაულის საჯაროდ აღიარებისა, მისი გამოცხადებისა. დღეს კიდევ შუა დღემდე და მერე ხატზე იქნება გადაცემული.

ბეკო ერთი კვირაა რაც ეშხადება ამ დღისთვის. მან მოასვენებინა იმ ეკლესიის წმ. გიორგის ხატი, სადაც ერთს დროს მნათედ მსახურობდა. წინა დღით მოასვენეს ხატი ამ სოფელში და ადგილზე დასვენებამდის ადგილობრივს მკლესიაში მოათავსეს.

წისქვილის დაწვის შემდეგ, ბეკო ჯვებესთან დაბინავდა. ჯვებე უმეტეს დროს შინ არ იყო. უკანასკნელს კვირაში იგი ერთიანად შეირყა კეკუაზე. სახლში თითქმის არა დგებოდა. ტყედ გაიქრა. ხანდახან მოიჭრებოდა ბეკოსთან, მოინახულებდა მას და კვლავ შეეჯარებოდა ტყეს. ბეკო კი თავისუფლად მიეცა თავის ქირს. ის ახლა გაასკეცებულის მხნეობით სწყევლიდა მის გამაუბედურებლებს. წმ. გიორგის ხატის მოსვენების დღეს იგი დღესასწაულად მოერთო და სოფლის საზღვარზე მიეგება ხატს. დაეცა ხატის წინ მუხლებზე; მიჰმართა შესაფერის სიტყვით. ცოტა საყვედურიც გადაჰკრა.

— თუ ღიძი არ ვარ შენის მალაღის ყურადღებისა—ღირსიც არ ვიქნები გატარო წინანდებულად!—ვირ მოგეკარები, წმ. გიორგი, ახლო!! ხოლო უცდი შენს ბრძანებას!!

ასე უთხრა და შორიახლო გაჰყვა ბეკო თავის საყვარელს ხატის ლიტანიობას. ჯვებე კი სოფლის ახლო-მახ-

ლო დარბოდა უქმელ-უსმელი, გახელებული. მასივ ცეცხლს ეკიდებოდა, იწოდა. ხშირად თხოულობდა ცივს წყალს. როცა მისცემდნენ, დაეწაფებოდა და ერთბაშად ბევრს დალევდა, თითქო მით უნდოდა გენია-ცეცხლის ჩაქრობა.

წისქვილის წინ შეკრებილი ხალხი იმაზე მსჯელობდა, თუ ვინ გადასცემდა ხატზე—ბეკო თუ ახალი მნათე. ყველა თანაუკრძობდა ბეკოს, ყველას ეცოდებოდა იგი. დიდის მოლოდინის შემდეგ გამოჩნდა ხატიც. მასთან ახლდნენ მღვდელი, მნათე და რამდენიმე სოფლის მცხოვრები. ბეკო უკან მოდიოდა ქუდ მოხდილი ფერწასული, შესაბრალისი. უკანასკნელი ღამე მან ეკლესიის სამრეკლოზე გაათენალოცვა ვედრებაში. მის დანახვაზე წისქვილის წინ შეყრილს ხალხს გულიდან შებრალების ხმა აღმოესკდა.

— საცოდავი, ბეკო! ვინ ერჩოდა? ვინ გააუბედურა? საცოდავი, როგორ გამხდარა?

ხატი ხის ძირში დაასვენეს, მისთვის დადგმულ წითელ მაუდ გადაკრულს მაგიდაზე. ხალხი სათითაოდ მიდიოდა და ემთხვევოდა ხატს. მოშორებით კი დადგა ბეკო—ობოლი, უბედური, უძინარი!..

მნათემ ხმა ნაღლა გამოაცხადა.

— კიდე აქვს დრო ღვთისა და კაცის შემცოდეს, აღიაროს დანაშაული! ნუ დააღუპინებს ძლიერს ხატს, როგორც თავს ისე შთამამავლობას!

შორიდან გამოჩნდა ჯვებე. უსიტყვოდ მიუახლოვდა ბეკოს და მის გვერდით მიწაზე დაეშვა.

გაიარა კიდე რამდენიმე ხანმა, და, რომ დარწმუნდნენ, რომ დამნაშავე აღარ ჩნდება, საქმეს შეუდგნენ.

— დამითმე, სოლომონ, სიტყვა!—მიჰმართა თავის ადგილიდან ბეკომ მნათეს.

— ინებე, ბატონო ჩემო!—უპასუხა მნათემ.

ბეკო მიუახლოვდა ხატს. გულზე ხელები დაიკრიბა და ასე მიჰმართა წმ. გიორგის:

— აჰა, მე, ძლიერო წიდანო, აჰა, ჩემი უკანასკნელი სადგურის ფერფლი! და, აჰა, შენი სამართალი! შენთან მოახლოვებას ვერა ვბედავ!—სასოება ხარ ჩემი სასოება იყავი და იქნება! ძალიან ისმინო ჩემი ლოცვა, ჩემი კვნესა, და ჩემი ცრემლები ხელთ გიპყრია ჩემი სულის წამალი უკანასკნელად მოძრაობს, იქნება, სული ჩემში და უკანასკნელად შეგლალადებს, იქნება, იგი უძლიერესს და უმართებულესს!.. დავისაჯე, წმ. გიორგი, მე! არ მომეცა საშველი, მოსვენება! მომესპო ქვეყნად თავშესაფარი!—ეს წისქვილი, ახლა ფერფლად ქცეული, უკანასკნელი სენაკი იყო ჩემი. მაგრამ მტრის ხელმა აქაც არ მომასვენა, შეურდა ჰირვებულის ჰურის ქამა და ცეცხლი წამიკიდა!.. რალად გინდა, ზენაარ ძალთა თავადო, ჩემი სიტყვები, როცა შენც ჰხედავ, როცა შენც უწყისი.. უწყისი, რომ აღარ მაქვს ღონე, აღარ მაქვს საშველი!

უწყისი, რომ მიჰარს!! აჰა, ჩემი თხოვნაც...

ხალხი სმენად გადაიქცა. ბეკოს სიტყვამ ყველას ყურადღება მიიპყრო. ჯვებეც უსმენს ბეკოს. იგი ზის თავჩაღუნული. ვერავინ უბედავს უთხრას: — ადექიო!

ლეო ქიანელი.

(შემდეგი იქნება)

